

1937

საქართველოს
კომუნისტური
პარტია

პიონერი



საქ. კ. კ. (ბ) ტ. კ-ის გამომცემლობა „კომუნისტური“

პიონერი

წალიწალი მათორმეტ

ეროვნული
კომუნისტური

საქ. აღკვ ცენტრალური კომიტეტისა და საქ.
განსახკომის ერთობიური ჟურნალი.

1937 წ.

№ 4

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომც.—„კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34. ტელ.—3—02—61

შინაარსი

	გვ.
1. „დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან“—ნაწვეტი ი. ჭავჭავაძის ლექსიდან	1.
2. ილია ჭავჭავაძე (წერილი)	2.
3. დიდი აღამიანის ცხოვრებიდან.—შ.თაბუკაშვილისა	3.
4. ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფი	7.
5. გაზაფხული,—ლექსი არნო ონელისა	8.
6. ირემი კომკავშირის მთაზე,—ლექსი სანდრო ულენცისა	8.
7. ჯეკ ლონდონი (წერილი)	9.
8. ცხოვრების კანონი—ჯეკ ლონდონი, თარგმანი მამულაშვილისა	10.
9. ფრინველმხეცი იხვცხვირა,—ვლ. კახიანისა	14.
10. სხარტული სიტყვები,—შედგენილი რ. ქორქიას ჩიერ	15.
11. გაზაფხული,—მუსიკა თ. შავერზაშვილისა, ტექსტი ილია ჭავჭავაძისა	16.
12. ჭადრაკის უძლიერესი მოთამაშენი—არ. ებრალიძისა	გარეკანის მე-3 გვ.
13. მოძრავი თამაშობა	გარეკანის მე-4 გვ.



ფურცდანი კვირეული



ილია ჩავჭავჭავაძე

ღაე თუნე მოგაგდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: „აღასრუღა მან თვისი“ ვალი.“*



* ეს სტროფი მოყვანილია ილიას იმ უსათაურო ლექსიდან, რომელიც დაწერა მან 1858 წელს 19 ნოემბერს პეტერბურგში (ლენინგრადი).



ვის არ წაუკითხავს ლექსი „გაზაფხული“ ?

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალი ჭყვიის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ღხენითა სტირის...

და ამ საყვარელი სტრიქონების ავტორი ხომ დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძეა! 29 მაისს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს საუკუნის შესრულებას მისი დაბადებიდან, ხოლო 30 წელს — მის ტრადიციულად დაღუპვიდან.

ილია თავის დროის მოწინავე, უდიდესი ადამიანი იყო. მეტად კულტურული, განათლებული... ის ნათლად ხედავდა ნაციონალურ უთანასწორობას, მეფის თვითმპყრობელობის საშინელებას, მშრომელი გლეხობის უუფლებობასა და ტანჯვა — წვალებას. ამიტომ მან მთელი თავისი ცხოვრება, მთელი თავისი ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ ხალხის, მშრომელი გლეხობის კეთილდღეობას შესწირა.

ილიას უკვდავი პოემები „აჩრდილი“ და „რამოდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ — მძლავრად გასროლილი ტყვია იყო, რომელიც შიგ გულში მოხვდა სასიკვდილოდ განწირულ ფეოდალიზმს. ამ პოემებით ილია მხარში ამოუდგა მშრომელ ხალხს, კაკო ყაჩაღს, ზაქროს და მანაც მათი ბედი გაიზიარა.

„მგზავრის წერილებში“ ილიამ ხომ მოხვევის პირით განაცხადა: „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუნდეს“ო!

უკვდავია ილიას შემოქმედება.

მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია მისი ლიტერატურული ცხოვრების გზა.

„კაცია ადამიანი“, „მგზავრის წერილები“... მისი პოემები და ლექსები. — უძვირფასესი განძია ქართული ლიტერატურისა.

ქართველი ერის დიდებული შვილის, მხატვრული სიტყვის ჰენიალური ოსტატის — ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები გვეხმარებიან ჩვენ ბიონერებს, ახალგაზრდობას — გავიცნოთ წარსული, შევისწავლოთ მაშინდელი დროის ადამიანთა ყოფაცხოვრება;

ვისწავლოთ ილია!

დავეუფლოთ მის მდიდარ მემკვიდრეობას!

დიდი აღმზანის ცხოვრებინ



ისი მოთხრობები ამოთრახებს წარსულ შავბნელ დროს?

ვისი ლექსები ხიბლავს მკითხველებს?

ვისი პოემები ხელიხელსაგოგმანებელი?

ვისი კალამი იძლეოდა შესანიშნავ კრიტიკულ—პუბლიცისტურ წერილებს?

ვინ იყო ჩვენში ყოველი საზოგადოებრივი საკითხის მესვეური თუ მონაწილე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში?

ვის საფლავს დადგომია თავს მტირალი დედა მთაწმინდის პანთეონში?

ვისი დაბადების ასი წლისთავს აღნიშნავს წელს საბჭოთა საქართველო?

ვინ არის ეს შესანიშნავი მწერალი, რომლის კალამი, ქალღმერთი მოსმული თუნდაც ამ შვიდი ათეული წლის წინათ, დღესაც ატოკებს მრავალ ათათას გულს და ნათელს ჰფენს გონებას?

ეს არის მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ბურჯი—დიდი ილია ჭავჭავაძე.

კახეთში, სოფელ ყვარელში, 1837 წლის 27 ოქტომბერს ოფიცერ გრიგოლ ჭავჭავაძეს შეეძინა მესამე შვილი. მას ილია დაარქვეს. აბა ვინ რა იცოდა მაშინ, თუ ეს ბუთხუზა მტირალა ბიჭი „კაკო ყაჩაღის“ ავტორი გახდებოდა.

ილიას დედა მაგდანი თბილისელი გაქართველებული სომხის ბებურიშვილის ქალი იყო და ძალიან კარგად იცოდა ქართული მწერლობა. დედამ შეაყვარა ილიას ქართული ლიტერატურა.

სალამობით მოისვამდა მაგდანი შვილებს და წაუკითხავდა მათ რომელიმე მოთხრობას. შემდეგ თვითონ უამბობდა შინაარსს და მეორე დღეს კი ბავშვებს აამბობინებდა. ილია ამბობს ამის შესახებ: ვინც კარგად ვუამბობდიო, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდად ვაფასებდითო.

პატარა ილიას ყვარელელმა მთავარმა (სამღვდელო პირმა) ასწავლა წერაკითხვა. ამ მთავარს ძალიან ეხერხებოდა სხვადასხვა საინტერესო ამბის

მოთხრობა, და ბუთხუზა ილიაც გულდასმით უსმენდა. იმასსოვრებდა და ზოგი რამ შემდგომ გამოიყენა კიდევ.

— ბევრი ამ ამბავთაგანი, — ამბობს ილია, — ღრმად ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის, „დიმიტრი თავდადებული“, თემად გამოვიყენე მრავალი წლის შემდეგ... ჩემს „გლახის ნაამბობში“ ზოგიერთ ადგილას ცხადად ამჩნევია კვალი მთავრის გავლენისა.

10 წლის ილიას დედა მოუკვდა. ბავშვების მოვლა-პატრონობა იკისრა მამილამ—მაკრინემ, რომელიც ძალიან კარგად ზრდიდა ობლებს.

პატარა ილიას არ უყვარდა ცელქობა, წიგნების კითხვით იყო გატაცებული.

ილიას გამდელი სალომე ლოლაძე გვიხასიათებს ილიას ბავშვობას. ხანდახან მაკრინე მამიდა გააგზავნიდა ილიას: წადი, დაუძახე ამათა და ამათ—მოვიდნენ და იმუშაონო.

გაცუნცულდებოდა ილია და ცოტა ხნის შემდეგ მარტოღმარტო დაბრუნდებოდა.

— ბიჭო, მუშები სად არიან, რათ არ მოიყვანე? ჰკითხავდა მაკრინე.

— მამიდა, ისე ტკბილად სძინავთ ჩრდილში, რომ ვერ გავალვძიქ, შემეცოდნენ, — უბასუხებდა ილია.



მაშინ ბატონყმობა იყო, ბატონიშვილები თავგასულები იყვნენ და უდიერად ეპყრობოდნენ ყმებს, მაგრამ, როგორც გამდელი სალომე ლოლაძე მოწმობს, — ილია „ხმას არ აუშაღლებდა თავის დღეში მოსამსახურეს“.

1848 წელია. ილია მე-11 წელშია გადამდგარი. მამა ხედავს, რომ ყვარელში მისი გაჩერება აღარ ღირს. ჩასკვნილი, ჯანღონით სავსე ბიჭუნა მამას თბილისში მიჰყავს და იანიშვესკისა და ჰაკეს პანსიონში აბარებს.

ვინ იყო ეს ჰაკე და რას წარმოადგენდა მისი პანსიონი?

„პანსიონს მამის განაგებდა მხოლოდ ერთი—ჰაკე. ჰაკე გერმანელი იყო, ყოველ მხრივ განათლებული კაცი. გერმანიიდან დაიბარა მამინდელმა კავკასიის ცალკე კორპუსის კომანდირმა ნეიდგარტმა თავის





ილიას სახლი საფურამოში.

თვის კი სულ ფუჭია, მისთვის რომ მე ყოველ ჟამს და ყოველ შემთხვევაში თან მწყრალადა ვარ და მწყრალობით ფეხსაც ვერ გადასდგამს კაცი“.

ოთხი წელიწადი იყო ილია უნივერსიტეტში, მაგრამ იგი გატაცებული იყო არა მხოლოდ საუნივერსიტეტო საგნების სწავლით, არამედ გატაცებით კითხულობდა გარეშე წიგნებს და ფრიად განვითარებული იყო. სამაგიეროდ ილია გამოცდების წინ 18-20 საათს მუშაობდა დღეში და წიგნზეც კი ჩაეძინებოდა ხანდახან.

1861 წელს ილია მეოთხე კურსზე იყო, დაანება თავი უნივერსიტეტს და სამშობლოში დაბრუნდა.

საინტერესოა, რა მიზეზით დაანება ილიამ უნივერსიტეტს თავი?

იმ ღროს პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა იგნატიევმა ახალი წესები შემოიღო უნივერსიტეტში. სტუდენტებს არ სურდათ დამორჩილებოდნენ ამ წესებს, ხოლო ვინც არ დაემორჩილებოდა, ის სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო. ილიამ საქართველოში დაბრუნება არჩია იგნატიევის წესების დამორჩილებას.

შვილების აღსაზრდელად... შემდეგ იგი თბილისში დარჩა და პედაგოგ იანიშევსკისთან ერთად პანსიონი დააარსა“.

1850 წელს ილია გიმნაზიაში შევიდა (იმ შენობაში ახლა პირველი საცდელ—საჩვენებელი სკოლაა, რუსთაველის პროსპექტზე).

ილია მიუკარებელი და ჩუმი ბავშვი იყო, მაგრამ ოხუნჯობა კი ძალიან ეჩერებოდა. ვისაც კი დაცინვას დაუწყებდა, ვაი იმისი ბრალი—სულ გააცამტვერებდა.

ნიჭიერი და განვითარებული ილია სკოლაში ზარმაცობდა. მაგრამ გამოცდების წინ ჩაჯდებოდა და ისე საფუძვლიანად შეისწავლიდა ყოველივეს, რომ ყველას აკვირებდა. თუმცა ამხანაგებთან დაახლოვება არ უყვარდა, მათი გამოქომაგება კი იცოდა.

1856 წელს დაამთავრა ილიამ გიმნაზია და გადაწყვიტა პეტერბურგის უნივერსიტეტში შესულიყო. მაშინ რკინისგზა არ იყო, და პეტერბურგში ჩასვლას სამი თვე უნდოდა.

1857 წელს ილია უკვე პეტერბურგშია. მან ჩააბარა გამოცდები და სტუდენტად ჩარიცხეს.

პეტერბურგის ჰავამ აწყინა ილიას და სისხლსაც კი აღებინებდა. ის ჩიოდა: ეს რა ქვეყანაში მოვხვდი, სამი თვეა მზე არ მინახავსო. არ მოწონდა ბურუსიან-ნესტიანი პეტერბურგი თბილისის მზით გამთბარს, თანაც უფულობა აწუხებდა. ამის შესახებ ილია ასე ამბობს:

—ეს პეტერბურგი საშინელი, უდიდესი ქალაქია. ბევრი მხიარულებაა, ბევრი შექცევაა, მაგრამ ჩემ-



ანათლებული, მოწინავე იდეებით აღჭურვილი დაბრუნდა ილია სამშობლოში. მან მეტად ნაყოფიერად გაატარა ოთხი წელიწადი პეტერბურგში.

ქართველ ახალგაზრდობას, რომლებმაც რუსეთში დაასრულეს უმაღლესი სასწავლებელი და სამშობლოში დაბრუნებულემა ბრძოლა გააჩაღეს ძველი, დამყაყებული ცხოვრების წინააღმდეგ, თერგდალეულებს უწოდებდნენ (მაშინ რკინისგზა არ იყო, რუსეთში მიდიოდნენ საქართველოს სამხედრო გზით, ამ გზაზეა მდინარე თერგი; „თერგდალეული“ ნიშნავდა რუსეთში ნამყოფს, ძველი თაობისათვის მიუღებელი ახალი იდეებით აღჭურვილს).

თერგდალეულთა ბელადი ილია იყო. მან სასტიკი ბრძოლა გააჩაღა ძველი, დრომოქმელი ყოფის წინააღმდეგ, მან გაილაშქრა დახავსებული იდეებით გაჟღენთილი ძველი თაობის წინააღმდეგ, რითაც



საშინელი აურზაური გამოიწვია. მაძინ გამოდიოდა ჟურნალი „ცისკარი“, რომელსაც ილია „ჯოჯოხეთის კარს“ უწოდებდა („ცისკარი“ ჯოჯოხეთის კარია და არა ცისაო—ამბობდა ილია). ამ ჟურნალში დაბეჭდა ილიამ კრიტიკული წერილი ერთერთი თარგმანის შესახებ. მთარგმნელს უწუებდა ენას, ილაშქრებდა დრომოჭმული ხუთი ასოს წინააღმდეგ (Y, ჟ, ჯ, კ, ზ) და ბევრ ისეთ აზრს გამოთქვამდა, რამაც თავზარი დასცა ძველი თაობის წარმომადგენლებს, რომლებიც დაირაზმნენ ილიას წინააღმდეგ (ბარბარე ჯორჯაძე და სხვ.).

ილია მეტიმეტად უღმობელი იყო მოწინააღმდეგეებთან. მისი მახვილი კალამი მიწასთან ასწორებდა მოპირდაპირეს. „ცისკარის“ მოტრფიალებებს მან ასე უპასუხა:

—„თუ ცისკარი“ უვარგისია კიდევ თქვენგან, ყვავებო ფარშავანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორანის ჩხავილითა“.

აბა ამის შემდეგ „ცისკარში“ რალას დაუბეჭდავდნენ მას!

ახალი თაობა ბრძოლაში ჩაება, მაგრამ რით იბრძოლოს, სად ბეჭდოს თავისი წერილები? ერთადერთი ჟურნალია „ცისკარი“ მოწინააღმდეგეთა „ცინხე—სიმაგრე“.

გადის ორი წელი და ახალ თაობას უკვე აქვს თავისი ჟურნალი—ეს არის „საქართველოს მოამბე“, რომელიც 1863 წელს გამოვიდა ილიას რედაქტორობით. აქ დაბეჭდა ილიამ „კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობის“ ხუთი თავი, „აჩრდილისა“ და „კაკო ყაჩაღის“ ნაწყვეტები. ეს იყო საშინელი გალაშქრება ბატონყმობის წინააღმდეგ. ცხადია, ამის შემდეგ რა თვალით შეხედავდნენ „საქართველოს მოამბეს“ ძველი ცხოვრების მოტრფიალები და მთავრობის დამქაშები. „საქართველოს მოამბე“ ერთი წლის შემდეგ დაიხურა, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაშიც ბევრის გაკეთება მოასწრო. დარჩნენ „თერგდალეულები“ ისევ უჟურნალოდ.

1863 წელს ილია ოჯახს მოეკიდა, ცოლად შეირთო ოლია გურამიშვილი.

1864 იგი დანიშნეს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკეულ მინდობილობათა მოხელედ; მას უნდა გამოერკვია მებატონეთა და გლეხთა ურთიერთობა. ამავე წელს გადაიყვანეს იგი დუშეთში, მომრიგებელ შუამავლად, ხოლო 1868 წელს მომრიგებელ მოსამართლედ დანიშნეს დუშეთშივე.



ილიას კუთხე მწერალთა მუზეუმში.

ამ თანამდებობაზე იყო იგი დუშეთში 1874 წლამდე.



საინტერესოა ერთი გლეხის ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ გამოარკვია ილიამ მევენახის თაღლითობა და გლეხის სრული სიმართლე.


გლეხ ნასყიდა პაპაშვილს მუხრანელი მევენახის ფული ემართა. რის ვაივაგლახით შეაგროვა ნასყიდამ ფული და ჩოხაზე დაიკერა ქისა: შევხვდები ჩემს მოვალეს და მივცემო.

ერთ დღეს ნატბევის მუხასთან იყო ნასყიდა თავის ხარკ-კამეჩით. ამ დროს ჩამოიარა ცხენით მისმა მოვალემ. ნასყიდამ სრულად ჩაუთვალა ფული, თავისი თამასუქი კი, რომელიც წინათ მისცა მევენახეს, არ გამოურთმევია. ამით ისარგებლა მევენახემ და დუშეთის სასამართლოში უჩივლა ნასყიდა პაპაშვილს. მოსამართლედ ილია იყო.

—ბიჭო, ის ვალი რომ ავიღია ამ კაციდგან, როგორა გგონია, გადაწყვეტა არ უნდა ვალსა?—ეკითხება ილია ნასყიდას.

ნასყიდამ შეჰფიცა: მივეცი, ბატონო, სრულად მივეცი, რაც კი მემართაო.

—ტყუის, ბატონო სუღია, ტყუის!—ავყირდა მევენახე. ილიამ აათვალეირ-ჩაათვალეირა მევენახე და ჰკითხა გლეხს:



—კაცო, ან ძაღლი არ იყო იმ ადგილას, ან კაცი, ან რა ვიცი, არა იყო რა, როცა შენ ის ფული მი-
ეცი ამასა?

—იმ მუხისა და ჩემი ხარ-კამეჩის მეტი არა იყო
რაო, — უბასუხა ნასყიდამ.

—იცი შენ ის მუხა სადაც დგას? — ჰკითხა ილიამ
მევახშეს.

—აბა რა ვიცი, ქვეყანაზე ათასი მუხა დგას, — თა-
მამად მიუგო მევახშემ.

—პაპაშვილო, წადი და
იმ მუხიდან ერთი ფო-
თოლი მომიტანე, — უთხრა
გლენს ილიამ. — ვიდრე შენ
თითონ არ იქნები აქა, შენ
საქმეს არ გავარჩევ.

პაპაშვილმა ქუდს დაავ-
ლო ხელი და წასვლა და-
აპირა, მაგრამ ამ დროს
მევახშემ უკმაყოფილოდ
უთხრა ილიას.

—შე დალოცვილო, მა-
ნამ ეგ ნატბევზე გადავა
და იმ მუხიდან ფოთოლს
მოიტანს, ხომ ბინდიც გის-
წრებთ აქა!

მაშინ ილია მიუბრუნდა მევახშეს:

—აკი არ იცოდი შენ ის მუხა! განა მარაღა იმ
მუხის ძირში მოგცა მაგან ის ფული?

მევახშეს ენა ჩაუვარდა, რაღას იტყოდა.

ასე გამოარკვია ილიამ გლენის სიმართლე.

1874 წელს ილია თბილისში გადმოვიდა და ბან-
კში დაიწყო სამსახური. 1875 წლიდან 1905 წლამ-
დე იგი გამგეობის თავმჯდომარედ იყო.

1879 წელს დაარსდა ქართველთა შორის წერა-
კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ეს საზო-
გადოება ხსნიდა ქართულ სკოლებს. ბეჭდავდა ქარ-
თულ წიგნებს, აარსებდა სახალხო ბიბლიოთეკა-სა-
მკითხველოებს, ეხმარებოდა ლარიბ სტუდენტებს და
სხვ. ამ საზოგადოების თავმჯდომარე იყო ილია
1886 წლიდან 1907 წლამდე, სიკვდილამდე, და
თავისი ქონებაც მას უანდერძა.

1906 წელს ილია აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს
წევრად. ილია მსურვალე მონაწილეობას იღებდა
საბჭოს მუშაობაში, ამზადებდა მოხსენებას სიკვდი-
ლით დასჯის წინააღმდეგ და მემარცხენეთა ჯგუფს

მიემხრო. იგი იქ იტავდა მთელი საქართველოს ინ-
ტერესებს, და არა მხოლოდ თავად აზნაურებისა, გლეხ-
ზეთების თანამშრომლებს ილიამ — სახელმწიფო საბჭო-
ქოს წევრმა — ასე განუცხადა: „მე მთელი საქართველოს
და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები.
საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემ ძაღლს“.

მთავრობას ვერ აეტანა ილია, რომელიც თავის
მტრად მიაჩნდა. მისმა დამქაშებმა 1907 წ. 30 აგვი-
სტოს, მცხეთის მახლობლად, წიწამურთან, მოკლეს
მსცოვანი მწერალი, რამაც
თავზარი დასცა მთელ სა-
ქართველოს.


ილია დასაფლავებულია
მთაწმინდის პანთეონში.

როგორც დავინახეთ,
ილია ფართოდ იყო ჩაბმუ-
ლი ყოველგვარ საზოგადო-
ებრივ საქმიანობაში, სამ-
სახური ბევრ დროს ართ-
მევდა, მაგრამ ამ პირობე-
ბშიც მეტისმეტად ნაყო-
ფიერად წერდა, წერდა
ლირიკულ ლექსებს, პოე-
მებს, მოთხრობებს, პუბ-
ლიცისტურ და კრიტიკულ
წერილებს...

წერა ილიამ ბავშვობიდანვე დაიწყო. პირველი
ლექსი „რწყილები“ 11 წლისას დაუწერია (ამ ლექ-
სის ტექსტი არ შენახულა).

პირველი ლექსები ილიამ „ცისკარში“ დაბეჭდა
1857 წელს, შემდეგ იბეჭდებოდა „საქართველოს
მოამბეში“ (1863 წ.), გაზეთ „დროებაში“ (1880-
1885), ჟურნალ „კრებულში“ (1871-73), ჯერ ჟურ-
ნალ და შემდეგ გაზეთ „ივერიაში“, რომლის რედა-
ქტორად თვითონ იყო, ჟურნალ „მოამბეში“ (1893-
1905) და სხვ.

ილიას ბასრი კალამი ლახვრად ესობოდა ძველის
მოტრფილებს. ბატონყმობის საშინელება ილიამ
დიდი ოსტატობით გადმოშალა (აბა გაიხსენეთ „კა-
კო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, აჩრდილი!), რი-
თაც თავად-აზნაურების გაცოფება გამოიწვია. ილი-
ამ თავის ყოფილ ყმებს უსასყიდლოდ მისცა ვეხა-
ხები და სახნავ-სათესი მიწები, რითაც „მოსპო ყო-
ველგვარი ბატონყმური დამოკიდებულება თავისსა
და ყოფილ ყმებს შორის“. ილია იყო ყმების მიწით
გათავისუფლების მომხრე, რისთვისაც კინალამ ხან-
ჯლით აკუწა ერთმა თავადმა.



კაკლის ხე ილიას ეზოში ს. საგურამოში.



167.

1871 წ. 29 მაის
(31 მაის - პარისი 1871).

წერის-მძიჭი ბ მშენი-მშენი

როცა რეპუბლიკა,

526-ე წინაშე მსჯელ - დ. მ.

ეტი ძეგლი რამდენად;

527-ე წინაშე მსჯელ / ყ-გა-თავი

სადაც იგი ქი,

528-ე წინაშე მსჯელ / ყ-გა-თავი

როცა-წინაშე მსჯელ;

529-ე წინაშე მსჯელ / ყ-გა-თავი

წინაშე მსჯელ / წინაშე მსჯელ

530-ე წინაშე მსჯელ / ყ-გა-თავი

ყოცა მსჯელ სიყვარული;

531-ე წინაშე მსჯელ / ყ-გა-თავი

ყოცა მსჯელ სიყვარული;

532-ე წინაშე მსჯელ / ყ-გა-თავი

ყოცა მსჯელ სიყვარული;

533-ე წინაშე მსჯელ / ყ-გა-თავი

ყოცა მსჯელ სიყვარული;

534-ე წინაშე მსჯელ / ყ-გა-თავი

ყოცა მსჯელ სიყვარული;

1871 წ. მაისი

ილიამ ეს ლექსი პარიზის კომუნის დამარცხების პირველ დღეებში დაწერა, 1871 წლის 29 მაისს. სწორედ მაშინ, როცა პარიზის ქუჩებში კვლავ ნაკადულემად მიედინებოდა განწირული კომუნარების, მუშების, მუშა-ქალების, ბავშვების უმანკო სისხლი და უერთდებოდა მდინარე სენას. ილიამ, ამ ლექსით, ძეგლი დაუდგა მუდამ დაუვიწყარ გმირ კომუნარებს.

გაბიაშვილი

ბაილივია დედამიწამ, ზამთრის კვლიც აღაჩნდა ჩანს,
 რაკიზ შვინის ჩემს სამშობლოს ლაშვარდი და მწვანე ფარჩა!
 ტყე ამდრდა, სიო ნელი აქანავებს ნაქვის ტოტებს
 და გუნება მჭიარული თვის წიაღში მოგვიწოდებს.
 მთამაც უელი მოიღება, მთის უზღლიდან ელავს ბოლონი,
 ერთი ფერი სცვლის მორკის, ძრიალა ცით მონაძროლი.
 მზე ტბის სარკეს აელვარებს, მოხმაურებს ცივი წყარო,
 აბერ ნელი კეკლებს მისდევს, ვერ იხებს და მტად ცხარობს.
 შორს მდინარე მიდუღუნებს, მებაღური ისვრის ბადეს,
 ვინ ჩასვდებოა ლალი მწუხმის სალაშქრის სიღიაღეს!
 ნებაღ დილით დაგანახათ მთის წვერიდან დაბლა ჭალა,—
 ეს ზღაპრული ფარდავები ვინ მოქარება, ვინ გაზალა?
 მოგუშუნე ტრაქტორების ძარავანთა ბოლო არ ჩანს,
 რაკიზ შვინის ჩემს სამშობლოს ლაშვარდი და მწვანე ფარჩა!



სანდო ქაღვი

ირეში კომპანის მთაზე

ირემო, მთაში გაზრდილხარ,
 ტყისა და მთების მნახველი...
 ბარშიაც გერგო სიცოცხლე
 კომკავშირის მთის სახელით.

„ირემო, მთასა მყვირალო,
 რად ჩამოვარდი ზარადა?“
 ბარში ხარ, ამ მთას ამშვენებ,
 არ ეხეტები ცალადა.

ქალაქი შენ არ მოგაწყენს;—
 კაშკაშა, მუდამ ხშიანი,
 ჩვენი ცხოვრება დაგატკობს,
 საამური და მზიანი.

გიკვირს, ეს რა მთაყოფილა,
 ამდენი ხალხი მავალი;
 დღის სიკაშკაშე გეფრქვევა
 და კიდევ მთვარე მრავალი.

„ირემო, მთასა მყვირალო“,
 ბარში ხარ, ბარად მოსული;
 ქალაქი შენ არ მოგაწყენს
 მწვანე ბალებით მოცული.

ძირს ნაკადული ჩხრიალებს,
 მზე დაფრქვეულა სხივებად,
 აქ ყვავილებიც ხარობენ
 აფერადებულ მძივებად.

ხარობენ მწვანე ბუჩქები...
 გული ხალისით გამთბარა;
 — „ილემო, ცემო ილემო“,—
 შემოგტიტინებს პატარა.

მთას დარჩა შენი ნახტომი
 და სხვა ირმების დღეები,
 მათაც იხარონ შენსავით,
 ახარონ მთა და ტყეები!

ჯეკ ლონდონი

სწორილი ამერიკელი მწერალი ჯეკ ლონდონი დაიბადა 1876 წელს გალატაკებულ ფერმერის ოჯახში. ახალგაზრდობის წლები საშინელ გაჭირვებასა, შიმშილსა და სიღატაკეში გაატარა. სკოლაში სიარულთან ერთად იგი ყიდდა გაზეთს, მუშაობდა შავ მუშადსაკონსერვო და ჯუტის ფაბრიკებში, დაძრწოდა ჩრდილოეთში ოქროს საძიებლად.

1893 წელს გაემგზავრა იაპონიაში მეზღვაურად. იაპონიიდან დაბრუნების შემდეგ ჯეკ ლონდონი წერს თავის პირველ ლიტერატურულ ნაწარმოებებს. 1894 წელს მიემგზავრება სახეტილოდ უმუშევართა არმიასთან ერთად, ხოლო მათგან ჩამოშორების შემდეგ ხდება ნამდვილი მაწანწალა. მას აპატიმრებენ და სვამენ საპყრობილეში... მიუხედავად ცხოვრების ასეთი პირობებისა, ჯეკ ლონდონი მაინც დიდი მონღომებით კითხულობს წიგნებს და განსაკუთრებით კი მარქსისტულ ლიტერატურას, რამაც ხელი შეუწყო უფრო ნათლად დაენახა და ეგრძნო კაპიტალისტური წყობილების კლასობრივი არსი. ოჯახური მდგომარეობის გაუარესების გამო, კვლავ ძალაუნებურად უხდება ყველაფერს და ანებოს თავი და ფიზიკური შრომა დაიწყო. იგი შედის სამუშაოდ მექანიკურ სამრეცხაოში. 1897 წ. მიდის ოქროს საძიებლად შორეულ კლონდაიკში; აქ იგი წერს მოთხრობათა სერიას შორეული ჩრდილოეთის შესახებ. ეს მოთხრობები სწრაფად ხდებიან ჯეკ ლონდონს ცნობილ მწერლად.

საშინელმა ცხოვრებამ, მაწანწალობასა, მეზღვაურობასა და ოქროს საძიებლად ხეტილში გატარებულმა ახალგაზრდობის წლებმა ჯეკ ლონდონს თავისი წარუშლელი დაღი დაასვა. მან 1916 წელს დაასრულა თავისი მრავალფეროვანი სიცოცხლე.



ჯეკ ლონდონი წვრილბურჟუაზიული მწერალი იყო და ასეთადაც დარჩა ბოლომდე. მისი მოთხრობების გმირები — დამწეული და უსაქმოდ დარჩენილი ბრბო — ან ოქროს საძიებლად ხეტილში ეძებენ ბედნიერებას, ანდა ისევ ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან შერიგებითა და მასთან თანამშრომლობით ცდილობენ ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას. ჯეკ ლონდონმა თავის შემოქმედებაში ნათლად აგვისახა კაპიტალისტური წყობილების საშინელებანი, მაგრამ მან ვერ შესძლო თავისი გმირებისათვის ეჩვენებინა ამ კაპიტალისტური საშინელებისაგან განთავისუფლების გზა, პროლეტარული ბრძოლის გზა. მიუხედავად ყველა ამისა, ჯეკ ლონდონი უდიდეს ინტერესს იწვევს საბჭოთა ქვეყნის მშრომელებში. თვითონ მოხეტილემ, ოქროს მაძიებელმა, კაპიტალისტური წყობილების მიელი საშინელებს საკუთარ მხრებზე გადამტანმა, შესანიშნავად შეძლო აესახა ამერიკის ჩაგრული კლასების ყოფა.

მოთხრობა „ცხოვრების კანონი“, რომელსაც ვებქდავთ ჩვენს ჟურ-

ნალში, ჯეკ ლონდონის წვრილ ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. მასში აღწერილია ჩრდილოეთის მოხეტილეთა ცნობილია, ეს ტომები, ადგილის გადანაცვლების დროს, მოხუცებს, უკეთუ მათ შრომის უნარი დაკარგული აქვთ, მარტოდ ტოვებენ, რის შედეგადაც ისინი ან მგლების მსხვერპლი ხდებიან, ანდა ყინვისა და შიმშილის გამო იღუპებიან. ჩვენს მოთხრობაში მოცემულია ერთი ასეთი მოხუცის ბედი. მისმა ტომმა, ადგილის გადანაცვლების შემდეგ, იგი მიატოვა მარტოდმარტო, უნუგეზოდ სადაც ის მგლებმა დაფლითეს. ასეთია ადამიანის ფასი, ასეთია ცხოვრების კანონი ძველი ქვეყნის პირობებში, ერთნაირად შეუბრალებელია იგი როგორც ჩრდილოეთ ამერიკის ამ ჩამორჩენილ მომთაბარე ტომებში, ისე ბურჟუაზიულ ქვეყნებშიაც. ძველი ქვეყნის ეს ცხოვრების კანონი — ადამიანისადმი უპატივმცემლობა, მისი სიცოცხლის არაფრად მიჩნევა და ველური ჩაგრა, მისი ყველა უფლებათა შეუბრალებელი შელახვა — ნათლად ასახა თავისი შემოქმედებაში ჯეკ ლონდონმა.

ქხოვრების კანონი



მოხუცი კოსკუში სმენად იქცა. მხედველობა მან დიდიხნის წინათ დაკარგა, მაგრამ სმენა ჯერ კიდევ კარგი ჰქონდა, და გამხმარ თავისქალის ქვეშ ოდნავ მოციმციმე გონებას, რომლისათვის უცხო იყო გარემო სამყარო კიდევ შეეძლო მცირედი ჩქამის დაჭერა. ოჰ,—ეს ხომ სიტ-კუმ-ტო-ჰას ყვირილია, რომელიც ტყვიასავით ხვდება ყურსა და ჟრჟოლას აწყვბინებს; იგი, როგორც ჩანს, ძაღლებს სცემს და მოსართავეებს უკეთებს საშინელი წყევლა-კრულვით. სიტ-კუმ-ტო-ჰა მისი შვილიშვილია. მაგრამ მას საქმე ბევრი აქვს, არ უნდა დრო უბრალოდ დაკარგოს და მოხუც, მიხრწნილ პაპას მიხედოს, რომელიც მარტოდმარტო ზის თოვლზე ყველასაგან დავიწყებული და უნუგეზოდ მიტოვებული. დგება ქამი გამგზავრებისა. დიდი გზაა წინ, ხოლო მოკლე დღე სწრაფად ილევა. ცხოვრება ეძახის მას, ცხოვრებაზე ზრუნვა მოუწოდებს მას. ოჰ, რარიც არ უნდა სიკვდილი. მაგრამ რა ახლოსა ახლა სიკვდილი მასთან!

ამ აზრმა ერთი წუთით შეაძრწუნა მოხუცი. შიშისაგან ხელები ჰაერში გაასავსავა და იქვე დაყრილ ფიჩხის კონაზე დაიწყო ფათური. როგორც კი დარწმუნდა, რომ ფიჩხი თავის ადგილას იყო, ხელები ისევ დამალა გაცვეთილი ბეწვის ქვეშ და კვლავ სმენად იქცა.

ნახევრად გაყინული ტყავის ტაკუნის ხმამ დაარწმუნა, რომ ირმის ტყავისაგან გაკეთებული ბელადის კარავი უკვე დაშალეს და შეახვიეს. ბელადად მისივე შვილი იყო, ახოვანი და ძლიერი ვაჟაკი, ტომის წინამძღოლი და ჩუბინი* მონადირე. იგი უყვიროდა და ლანძღავდა ნელა მუშაობისათვის დედაკაცებს, რომლებიც აგროვებდნენ თავიანთ ბარგს გასამგზავრებლად. მოხუცმა კოსკუშმა სმენა გაიმახვილა. უკანასკნელად ესმოდა მას ეს ხმა. აი, უკვე შეახვიეს ჯიხოუს კარავი, აი ტუსკინისაც. შვიდი, რვა, ცხრა... დარჩა, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთი — მისნის კარავი. ეჰ, უკვე მასაც ახვევენ. მას ესმოდა, როგორ ბუზღუნებდა მისანი და ასწორებდა მარხილზე დახვეულ კარავს. ბავშვმა ღნავილი დაიწყო; ქალი მის დამშვიდებას შეუდგა ნელი, ხორხიდან ამომავალი ხმით. ეს უთუოდ პატარა კუ-ტო არის, — გაიფიქრა მოხუცმა, — ჭირვეული და სუსტი ბავშვი. შეიძლება ის მალე მოკვდეს, ისინი ამოთხრიან ორმოს გაყინულ ტუნდრაში და ზევიდან ქვა-

სა და ყორეს მიაყრიან. მაგრამ, განა ყველაფერი ერთი არ არის? უკეთეს შემთხვევაში, რამდენიმე წელს კიდევ იცოცხლებს, მეტწილად ცარიელი კუჭით. ბოლოს კი მაინც სიკვდილი დარაჯობს, ყველაზე მომემარტი* და მგელსავით დამშეული. რა არის იქ? ჰო, ეს მამაკაცები მარხილებს კრავენ და ღველებს უჭერენ. იგი ისმენს ამ ხმაურს, — და ალბათ ვერასოდეს ვეღარ მოისმენს. შოლტი ტყლაშუნებს ძაღლების ზურგზე. გაისმის მათი საბრალო ღმუილი. ოჰ, რარიც ეჯავრებათ მათ ძნელად სავალი გზა. უკვე მიდიან. სიჩუმეში ისმის, როგორ მიცურავენ მარხილები. წავიდნენ, გაშორდნენ მის ცხოვრებას, და იგი დარჩა მარტოდმარტო, აღსასრულის ქამის პირისპირ. არა! მოკასინებმა თოვლი ააჭრიალეს, მის წინ კაცი იდგა, მის თავზე ფრთხილად დაეშვა ხელი. რა კეთილია მისი შვილი! მას მოაგონდა სხვა მოხუცთა ბედი, რომელთა შვილები მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ტომის წასვლის შემდეგ. მაგრამ მისი შვილი სხვებს არა ჰგავს. მოხუცი ფიქრებს მრეცა. მაგრამ ახალგაზრდა კაცის ხმამ ცნობაზე მოიყვანა.

— ხომ კარგად ხარ? — ჰკითხა მან.

მოხუცმა უპასუხა:

— არა მიშავს რა.

— შენთან ახლოს ფიჩხი ყრია, — განაგრძო ახალგაზრდა კაცმა, — და კოცონიც ანთია. დილა რუხია, და ყინვამ იკლო. აი, უკვე თოვლიც მოდის.

— მართლაც, თოვლი მოდის.

— ჩვენი ტომის ხალხი იჩქარის. მიძიემა მათი საპალნეები, ხოლო მუტლები საკვების ნაკლებობისაგან ჩაჰვარდნიან. წინ დიდი გზა უდევთ, და ისინი იჩქარიან. მე უკვე მივდივარ. ხომ კარგად ხარ აქ?

— არა მიშავს რა! თავი ისე მიჭირავს, როგორც შემოდგომის უკანასკნელ ფოთოლს, ხის კენწეროზე ძლივს რომ იმარებს თავს. ქარის პირველი შემობერვა — და მე ჩამოვვარდები. ჩემი ხმა დედაკაცის ხმას დაემსგავსა; ჩემი თვალეები გზას ვეღარ უჩვენებს ფეხებს და ფეხები კი დამიმძიმდა და საშინლად დავივალე. ჰო, ყველაფერი კარგად არის!

მან კმაყოფილებით ჩაიკიდა თავი და ამ მდგომარეობაში დარჩა, სანამ არ მიწყდა, შორიდან მომავალი, საცოდავად მოჭრიალე თოვლის უკანასკნელი ჩქამი. ეხლა მან უკვე იცოდა, რომ მისი შვილი დაძახებას ვეღარ გაიგებს. ხელი უნებურად ფიჩხისკენ

* მარჯვე მსროლელი.

* მშვიერი.



წაიღო. მხოლოდ ეს ფიჩხის კონა აშორებდა მას წინ აღმართულ მარადისობისაგან. მხოლოდ ეს რამდენიმე ხმელი ფიჩხი იყო მისი სიცოცხლის ერთადერთი საზომი. ფიჩხის ღერები ცეცხლში ერთმანეთის მიყოლებით ჩაიფერფლებოდა და ასევე თანაბარი ნაბიჯით მიუცოცდებოდა მას სიკვდილი. როდესაც უკანასკნელი ღერი გამოსცემს თავის სითბოს, ყინვა ნელნელა გადავა შეტევაზე. ჯერ ფეხებს დაიპყრობს, შემდეგ ხელებს, კიდურების გაყინვის შემდეგ კი ტანის ჯერი დადგება. თავი მუხლებზე დაეცემა და მოისვენებს. ეს ადვილია. ყველა უნდა მოკვდეს.

იგი უკმაყოფილებას არ გამოთქვამდა. ასეთია ცხოვრების გზა და ის სავსებით მართებულიც არის. იგი დაიბადა ქვეყანაზე, ცხოვრების გზა გალია, ქვეყნის კანონი მისთვის ახალი არ არის. ეს ყველა ცოცხალი არსების კანონია. ბუნება არ სწყალობს ყველა ცოცხალ არსებას და არ ზრუნავს თვითეული ცოცხალი არსებისათვის ცალკალკე. იგი მთელ ყურადღებას აქცევს სახეებს, ერებს. ასეთი იყო ყველაზე ღრმა მსჯელობა, რომლის უნარი ჰქონდა მოხუცი კოსკუმის პრიმიტიულ გონებას. მაგრამ ეს მან მტკიცედ შეითვისა. ამის მაგალითებს იგი ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე ხედავდა. ზეადმავალი წვენი ხის გულში, მწვანე ყლორტის გაშლა

მცენარეზე, ძირს ჩამოვარდნილი ყვითელი ფოთოლი — და წყნარად არის. მაგრამ ბუნებამ ყველაფერი ერთი ამოცანა მისცა. თუ იგი ამ ამოცანას არ შეასრულებს — მოკვდება, შეასრულებს — სულერთია, მაინც მოკვდება. თვით ბუნება ამ კანონს არ ემორჩილება. კოსკუმის ტომი მეტად ძველი ტომია. მოხუცები, რომლებსაც ის ბავშვობისას ხედავდა, იცნობდნენ წინა დროის მოხუცებს. აქედან ცხადია, რომ ტომი ცხოვრობს, რომ ის ასახიერებს დროთა ვითარებისაგან დავიწყებულ ყველა თავის წევრს, რომელთა საფლავები უკვე აღიგავენ პირისაგან მიწისა და მიეცნენ სრულ დავიწყებას. ისინი საერთო ანგარიშში არ ითვლებიან და მხოლოდ ერთეულნი არიან. ისინი წავიდნენ, როგორც გაზაფხულზე ცაზე გამქრალი ღრუბლები. და ისიც ასევე გადავა მარადისობაში. თვით ბუნებაც საზღვარი არა აქვს. მან ცხოვრებას მისცა ერთი ამოცანა, ერთი კანონი. აუცილებლობა ცხოვრების ამოცანაა, მისი კანონი — სიკვდილი. ახალგაზრდა ქალიშვილი ისეთი არსებაა, რომელსაც სასიამოვნოა უყურო, — მკერდსავეს, ძლიერი, მტკიცე ნაბიჯებით მოსიარულეს და თვალგაბრწყინებულს. მაგრამ მისი ამოცანა ჯერ კიდევ წინ არის. მისი თვლების ბრწყინა ფართოვდება, ნელნელა უფრო ჩქარ სიარულს სწავლობს, იგი ხან თამამია ახალგაზრდა ვაჟებთან, ხან კი მხდალია და მათაც გადასდებს თავის მოუსვენრობას. ის თანდათან მშვენიერდება, სანამ რომელიმე მონადირე არ წაიყვანს თავის ქოხში, ოჯახში რომ იმუშაოს, საქმელი მოუმზადოს და მისი შვილების დედა გახდეს. სიყრმის შვილის დაბადების შემდეგ მისი სილამაზე თანდათან ქრება, თვალეები უცვივდება და მხოლოდ თავისი პატარა ბავშვების ხელის ცალკუნი მის ჭორფლიან ლოყაზე თუ ახალისებს მას. მისი ამოცანა შესრულებულია. და პირველი შიმშილობის დაწყებისთანავე, ანდა შორეულ ადგილებში პირველივე გამგზავრებისას მას მიატოვებენ უპატრონოდ, როგორც იგი დატოვებს თოვლზე, ერთი იღლია ფიჩხის ანაბარად. ასეთია ცხოვრების კანონი.

ფრთხილად დაუმატა ცეცხლს ერთი ღერი და თავისი ნააზრვეის შეჯამებას შეუდგა. ასე იყო ყველგან და ყოველთვის. პირველი ყინვისთანავე ქრებიან ქინქლები. ტყის პატარა თრითინა სასიკვდილოდ მიწაში მიძვრება. რაც დრო გადის, ბაჭია ტლანქდება და ძძიმდება და მტერს ადვილად ვეღარ აღწევს თავს. ღიღი დათვიც კი თანდათან უხეში ხდება, ბუზლუნს



იწყებს და საბოლოოდ მწვერების მსხვერპლი ხდება. მან მოიგონა, როგორ დატოვა თავისი მამა კლონდაიკის* სათავეებთან, სანამ მისიონერი** თავისი წიგნებითა და წამლების ყუთით მოვიდოდა. კოსკუში ყოველთვის ილოკავდა ტუჩებს, როდესაც მოაგონებოდა ეს ყუთი, მაგრამ ახლა მას ნერწყვიც კი აღარ ჰქონდა პირში. განსაკუთრებით უყვარდა „ტკივილების გამაყუჩებელი“ წამალი. მაგრამ მისიონერი ხალხს ზედმეტ ბარგად აწვა, მას არ მოჰქონდა ნანადირევი, თვითონ კი ბევრს ჰქამდა, და მონადირეები ბუზღუნებდნენ. მას გაუცვიდა ფილტვები მდინარე მაიოზე, ხოლო შემდეგ ძაღლებმა ცხვირით გადაყარეს მის გვამზე მიყრილი ქვები და მისი ძვლების განაწილებისას საშინელი ჩხუბი მოუვიდათ.

კოსკუშმა დაუმატა ცეცხლს კიდევ ფიჩხის ერთი ღერი და უფრო ღრმად წავიდა წარსულზე ფიქრში. დიდი შიმშილობის დროს მოხუცები ცარიელი სტომაქით მიუჯდებოდნენ ცეცხლს და იგონებდნენ ძველი დროის გადმოცემებს იმის შესახებ, თუ მდინარე იუკონი, ცინულისაგან გათავისუფლებული, როგორ ატყლაშუნებდა თავის ტალღებს სამი ზამთრის განმავლობაში და შემდეგ სამ ზაფხულს გაყინული რომ იდგა. ამ შიმშილობის დროს მას დედა მოუკვდა. ორაგულის ქერა შეუძლებელი იყო და ტომი გაზაფხულის დადგომასა და ირმების მოსვლას ელოდებოდა. დადგა ზამთარი, მაგრამ ირმები არ ჩანდნენ. ასეთი შიმშილობა მოხუცებსაც კი არ ახსოვდათ. ირმები არ მოვიდნენ, შვიდი წელიწადი იყო, რაც ბაჭეები არ მრავლდებოდნენ, და ძაღლებისგან მხოლოდ ძვლები დარჩა. ზამთრის დაუსრულებელ წყვდიადში ტიროდნენ და კვდებოდნენ ბავშვები, დედები და მოხუცები, და ტომიდან ათში ერთი ძლივს გადარჩა, რომ კვლავ ეხილა მზე, ახალ გაზაფხულზე ამობრწყინებული სხივქერა მზე. საშინელი შიმშილი იყო.

მაგრამ მას უნახავს აგრეთვე ნეტარნი დრონი, როდესაც ხორცი თავსაყარი იყო და ძაღლები სუქდებოდნენ, როდესაც ვაჟკაცები ხედავდნენ მათ წინ აფრენილ ფრინველს და არ ესროდნენ, როდესაც ქალებს რძე არ აკლდათ და მხიარული ბავშვები სიცილით თამაშობდნენ კარვებში. მამაკაცებმა გამოიჩინეს გულდილობა, მოიგონეს ძველი უთანხმოება სხვა ტომებთან და მდინარეზე გადასვლით გაემართნენ სამხრეთისაკენ, რომ გაენადგურებინათ პელი***, ხოლო შემდეგ დასავლეთისკენ, ტანანის**** ჩამქრალ ცეცხლთან რომ დამსხდარიყვნენ. მოხუცმა მოიგონა შემთხვევა, წარსულში ნახული, თუ როგორ დაგლიჯეს მგლებმა ირემი. ზინგ-ჰამ იწვა მასთან ერთად თოვლზე და უყურებდა; ზინგ-ჰამ, რომელიც შემდეგ გახდა ყველაზე ჩუბინი მონადირე, ხოლო ბოლოს ჩავარდა მდინარე იუკონის

ცინულის ნაპრალში. იგი იპოვეს ერთი თვის შემდეგ ლოლუსავით გაყინული, ნახევარი ტანით ნულზევით ამოსული.

ერთ მშვენიერ დღეს ზინგ-ჰამ მათთან ერთად ირმებზე სანადიროდ წავიდა, როგორც ეს მათ მამებს სჩვეოდათ. მდინარის ერთ ტოტთან ისინი წააწყდნენ ჯერ ირმების ახალ კვალს, ხოლო შემდეგ მათ უკან მღვარი მგლების ნატერფალებს.

— მოხუცო, — თქვა ზინგ-ჰამ, ის უკეთ არჩევდა ნაკვალევს, — მოხუცო, ირემი თავის ჯოგს ვერ მიაღწევს. მგლებმა ჩამოაშორეს იგი ჯოგს და ვიცი, ხელიდან არ გაუშვებენ.

ასეც მოხდა. ასეთია მათი ჩვეულება. მთელ დღესა და ღამეს დაუსვენებლად იმდენს სდევნენ უკან ღმუილით, რომ როგორმე შეძლონ სწვდნენ დრუნჩში და მიზანს მიაღწიონ. მათ ზინგ-ჰამსთან ერთად იგრძნეს, როგორ აუჩქროლდათ სისხლი. ნადირობის დასასრული ყველაზე მეტად საინტერესო იყო მათთვის.

მოუთმენლობით აღსავსენი გაჰყვნენ კვალს, და თვითონ კოსკუშსაც კი, რომელსაც არა ჰქონდა კარგი მხედველობა, შეეძლო დაეხუჭა თვალები და წინ ისე ევლო — ისეთი ფართო იყო ნაკვალევი. ისინი მიჰყვებოდნენ ნაკვალევს და ყოველ ნატერფალზე ამოიკითხებოდა სულ ახლადდაწერილი ბნელი ტრაგედია. აი მათ მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც ირემი გაჩერებულა. ყველა მიმართულებით თოვლი დატკეპნილი და აშლილი იყო. შუაში ჩანდა ირმის ჩლიქების კვალი, ხოლო ირგვლივ — მგლების უფრო მსუბუქი ნატერფალები. ზოგიერთი მათგანი, სანამ მათი თანამომძმენი ირემს მიესოდნენ, გვერდზე დაწოლილიყო მოსასვენებლად. მათი გაგრძელებული ტანი ისე მკაფიოდ აღბეჭდილიყო თოვლზე, თითქოს ეს იყო სულ ერთი წუთის წინათ. ერთ მგელს, როგორც ჩანდა, გახელებული მსხვერპლის რქები მოჰხვედროდა და თოვლში ჩაფლულიყო. წმინდად ხორცგაცილი ძვლების გროვა აშკარად ამტკიცებდა ამას.

შეჩერდნენ კიდევ სხვა მოტკეპნილ ადგილას. აქ მომხდარა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ორჯერ წაუქცევიათ ირემი ძირს, — ეს თოვლზე კარგად ჩანდა, — ორჯერვე დაუძლევია თავისი მოწინააღმდეგენი და ისევ ფეხზე დამდგარა. მან უკვე დიღიხანია შეასრულა თავისი ამოცანა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიცოცხლე მისთვის მაინც ძვირფასი ყოფილა. ზინგ-ჰამ თქვა: „არასოდეს არ მომხდარა, რომ ერთხელ დაცემული ირემი კვლავ ფეხზე დამდგარიყოს“. მაგრამ ამ შემთხვევაში სწორედ ასე მოხდა.

როდესაც მათ მისანს უამბეს, მან ეს ამბავი სასწაულს მიაწერა და რალაცის მომასწავებლად ჩათვალა.

ბოლოს მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც ირემს განუზრახავს ნაპირზე ასვლა და ტყეში თავის შეფარება. მაგრამ მტრები შეჰსვეიან უკანიდან, ირემი ყალყზე დამდგარა, ზურგზე გაშხლართულა და ორი მგელი ქვეშ მოუყოლებია. ისინი ასევე დარჩენილან

* კლონდაიკი — მდინარე აშერიკაში.
 ** მისიონერი — ქრისტიანობის მქადაგებელი არაქრისტიანთა შორის.
 *** პელი — ჩრდილოეთის ადგილმაცვალი ტომია.
 **** ტანანიც ტომია.

თანამომხმეთა მიერ ხელუხლებლად. დევნა დასასრულს უახლოვდებოდა. გამოჩნდა ბრძოლის კიდევ ორი ადგილი. კვალი უკვე წითლად იყო შეღებილი და ირმის თანაბარი ნაბიჯები ახლა არეულ და ხშირ ნაბიჯებად გადაიქცა. და აი, მათ მოესმათ ბრძოლის პირველი ხმაური, — არა ძლიერი ხმები ნადირობისა, არამედ მოკლე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყეფა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მგლის კბილები ახლოს იყო ირემთან. ზინგ-ჰა ქარის მიმართულებით თოვლზე მიხიზავდა მუცლით, ხოლო მას უკან ხოხვითვე მიჰყვებოდა კოსკუში — ის, რომელსაც ელოდებოდა ტომის ბელადობა. ისინი მოეფარნენ ნორჩი ფიჭვის ტოტებს და ყურადღებით დაიწყეს ზეგრა. მათ დაინახეს დევნის დასასრული.

ეს სურათი, ისევე, როგორც სიჭაბუკის ყველა შთაბეჭდილება, აქამდის ნათლად ედგა თვალწინ და მის დაბინდულ მხედველობას იგი ახლაც ისე მკაფიოდ წარმოუდგა, როგორც ეს იყო მისი ცხოვრების შორეულ წარსულში. კოსკუში განცვიფრებული იყო ამით, რადგანაც უკანასკნელ დღეებში, როცა ის იყო ვაჟაკების ბელადი და საბჭოს თავი, ბევრი დიდი საქმე გააკეთა, და მის სახელს პელი წყევალ-კრულვით იხსენიებდა, თუ არაფერს ვიტყვით უცხო, თეთრ კაცზე, რომელიც მას შემოაკვდა საჯარო ბრძოლაში.

დიდხანს ფიქრობდა თავისი სიჭაბუკის დღეებზე, სანამ ცეცხლი არ ჩაქრა და ყინვამ უფრო არ მოუჭირა. ცეცხლი ახლად გააჩალა და ზუსტად გამოზომა თავისი სიცოცხლის საათები. სიტ-კუმ-ტო-ჰას რომ ეზრუნა თავის პაპაზე და ფიჩხი ცოტა მეტი მოეგროვებინა — მისი სიცოცხლის წუთები უფრო გაგრძელდებოდა. ეს არ იქნებოდა ძნელი საქმე. მაგრამ ის ხომ ყოველთვის უდარდელი ბავშვი იყო და არ ზრუნავდა თავის წინაპრებზე მას შემდეგ, რაც ბობრმა, ზინგ-ჰას ბადიშმა, პირველად ამოიღო იგი თვალში. მაგრამ, საბოლოოდ ხომ მაინც სულერთია? ისიც ხომ ასე იქცეოდა თავისი სიჭაბუკის ჟამს? ერთ წუთს სიჩუმეში ყური მიუვდო. შეიძლება მის შვილს გული აუჩუყდეს, დაბრუნდეს უკან ძაღლებით და წაიყვანოს თავისი საბრალო მოხუცი მამა იქით, სა-

დაც ბევრია მსუქანი ირმები, სადაც ცხოვრება ადვილია.

სმენა გაიმახვილა, მისი მოუსვენარი ტვინი ერთი წუთით დამშვიდდა, — სიწყნარეა. მხოლოდ ის ერთი სუნთქავდა სრულ სიჩუმეში. საშინელი სიმარტოვე იგრძნო. ჩუ! რა არის ეს? მთელს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ნაცნობმა, გაკვიანურებულმა ღმუილმა გააპო სიცარიელე. აი უკვე ახლოს ისმის იგი, და მის ბუნდოვან მხედველობას აესახა ფურირემი, დაფლეთილი, გასისხლიანებული ტანით და დიდი, ძირს დაშვებული რქებით, რომლებითაც იგი იცავდა თავს უკანასკნელ წუთამდის. იგი ხედავდა ოდნავად მოძრავ რუხ ნაკვთებს, მოელვარე თვალებს, გამოგდებულ ენას და ნერწყვით დაფარულ ეშვებს. და არჩევდა, რომ გარშემორტყმული წრე თანდათან პატარავდებოდა და უახლოვდებოდა მას, სანამ არ გადაიქცა შავ ლაქად გატყეპნილ თოვლზე.

მის ლოყას ცივი დრუნჩი მოჰხვდა და ამ შეხებით იგი სინამდვილეს დაუბრუნდა. ხელი უნებურად ცეცხლისკენ წაიღო და ერთი მოზრდილი ნალვერდალი ამოიღო. ადამიანისაგან მემკვიდრეობითი შიშით დამარცხებული მხეცი უკუიქცა და გაკვიანურებული ღმუილით ამცნო თანამომხმეებს მარცხი, ხოლო ისინი ხარბი ღმუილით უპასუხებდნენ; დორბლის გადმომყრელი რუხი დრუნჩების წრე კვლავ შემოერთყა გარს. წრე თანდათან პატარავდებოდა. მოხუცი გააფთრებით იქნევდა ნალვერდალს გარშემო, ხოლო მგლების დორბლვა ღმუილში გადადიოდა. მაგრამ მხეცები, რომლებიც მძიმედ სუნთქავდნენ და უცდიდნენ მსხვერპლს, არ ფიქრობდნენ უკუიქცვას. აი ერთმა წამოიწია წინ, შემდეგ მეორემ, მესამემ; არც ერთი არ იხვედა უკან. „რატომ უნდა ვებლაუქო სიცოცხლეს?“ — ჰკითხა კოსკუშმა თავს და ნალვერდალი ხელიდან გააგდო, რომელიც თოვლში აშიშინდა და ჩაქრა. წრე წინ მოიწვედა. მან შეხედა, რომ ძუ მგელი უკანასკნელი იერიშისათვის ემზადებოდა და თავი ჩაკიდა. ბოლოსდაბოლოს ხომ სულერთია! განა ასეთი არ არის ცხოვრების კანონი?

თარგმნილი ინგლისურიდან
მ. მამულაშვილის მიერ.



ფრინველმცხი—იხვსხვირა

პლ. კახიანი

აქსტრალიაში ცხოვრობს ერთი საკვირველი არსება, ნამდვილი ფრინველმცხი. მას იხვცხვირას ეძახიან. მისი სიგრძე კუდიანად ნახევარ მეტრს ცოტა აღემატება. თავი, ნისკარტი და ორი წინა ფეხი მას თითქმის მთლად იხვისა აქვს. ორი უკანა ფეხი, ტანი და კუდი—ცხოველისა. ხვალი იხვცხვირები მამლის




დეგებით არიან აღჭურვილნი. იხვცხვირები კვერცხებით მრავლდებიან. ძუ იხვცხვირა სამ ან ოთხ კვერცხს დებს. კვერცხებიდან იჩეკებიან პატარა ფრინველმცხეუნი. დედა მათ მზრუნველობით და სიყვარულით თავს დასტრიალებს, რძით ასაზრდოებს. ძუ იხვცხვირებს ძუძუები არ აქვთ, პატარები დედას მუცლის კანს სწოვენ და ასე იღებენ საკვებ რძეს.

მათი საუკეთესო სამყოფელი მდინარეები და ტყეებია. მათ უყვართ მღვრიე ტალახიან წყალში ჭყუმპალობა, გაფაციცებით და დაბეჯითებით ეძებენ კიბოებს და ჭიალუებს. ამ ყოფაში დიდ შვებასა და განცხრომას განიცდიან. იხვცხვირები, როცა თავს კარგად გრძნობენ, ცელქობენ და თავს იქცევენ. მათ ძაღლებივით სასაცილო სირბილი იციან. ერთმანეთს დასდევენ და კუდით იჭერენ, თამაშობენ, ანცობენ, ვიდრე ამ მდგომარეობიდან მათ რაიმე უსიამოვნო საფრთხე არ გამოიყვანთ. ცოტა მეტრები როდი ყავთ იხვცხვირებს, საბრალო ფრინველმცხეებს კი არავითარი იარაღი

არ აქვთ იმისათვის, რათა თავზედ მეტრს მაშაცურად წინ აღუდგნენ, თავდაცვითი ბრძოლა გაუმართონ. მათი ყველაზე უერთგულესი და საიმედო ქომაგი ისევ მათი მარად მოუღუნებელი სიფხიზლე და სიფრთხილეა. მეორეს მხრივ ჩვენს ფრინველმცხეებს დიდად შველით ის მეტისმეტად რთული, მიხვეულ - მოხვეული,

დახლართული სოროები, რომელთაც ისინი იშვიათი ოსტატობით აკეთებენ მდინარის ნაპირებზე. როცა მათ სოროების გზებს, გასასვლელებს და ბინებს ათვალიერებთ, განცვიფრებული რჩებით იხვცხვირების ეშმაკობით და ოინებით. ისინი წყალში თავისუფლად მოძრაობენ, ხმელეთზე კი საცოდავად, თითქმის მუცლით დახობავენ. არ უყვართ ბევრი ხეტიალი, იძინებენ დღისით და ღამითაც, ასევე უწყსრიგოდ ფხიზლობენ და დაფუსფუსობენ. ძილის დროს უცნაურად წვებიან, თავს თათებში და უბეში იღებენ და ისე მრგვალდებიან, რომ ამ შემთხვევაში ძნელია მათი ბურთისაგან გარჩევა. როგორც ყველა სულდგმულს, მათაც საშინლად უყვართ თავისუფალი, დამოუკიდებელი ცხოვრება. როცა რამე აწუხებთ და ვერ ისრულებენ სურვილს—ანჩხლობენ, ზმუჯუნებენ, წკმუტუნებენ. ადგილობრივი მოსახლეობა კარგად იცნობს მათ ყოფა-ცხოვრებას, ისინი ხშირად ვერაგულად ესმიან თავს იხვცხვირებს, მთელი ოჯახობით ატყვევებენ და მიყავთ სახლში დასაკლავად.



მძინარე იხვსხვირა



შეადგინა **კოლიონ ქოჩია**

1

პანიკა —

მძაფრი შიში

პანი, ძველი ბერძნების აზრით, ტყისა, მინდვრებისა და მწყემსების ღვთაება იყო. თავი კაცისა ჰქონდა, ფეხები თხისა და ბალნით იყო შემოსილი. საზარი¹ ხმა ჰქონდა, უყვარდა ღამლამობით მშიშარა მგზავრების დაფრთხობა. აქედან წარმოიშვა ეს გამოთქმა.

2

პირველი აპრილი

მოტყუების ჩვეულება პირველ აპრილს

რომაელებს პირველი აპრილი სულელების დღედ ჰქონდათ გამოცხადებული. ინდუსებმა ამ დღეს ხუმრობა და ლაღობა იცოდნენ. ძველად გერმანიაშიც ამ დღეს ხუმრობა და დასაჩუქრება იცოდნენ. საფრანგეთში პირველ აპრილს იწყება ერთგვარი ჯიშის თევზის — მაკეროს — ჰერა. ეს თევზი ძნელია დასაჭერად და მასზედ მონადირეს ხშირად უცრუვდება იმედი. აქედან წარმოსდგა მოტყუება, იმედის გაცრუება და ლაღობა პირველ აპრილს.

3

ნიანგის ცრემლები

ყალბი ფარისევლებური ცრემლები

ბერძნების აზრით, ნიანგი რომ მსხვერპლის ჭამას შეუდგებოდა, ცრემლებს ვადმოყრიდა, თითქოს ებრალებათ მსხვერპლი. ამიტომ ყალბი, ჭრელი, ფარისეველი ადამიანის ცრემლებს ან მწუხარებას ნიანგის ცრემლებს ეძახიან.

4

ჰამელონი —

მერყევი კაცი, რომელიც ხშირად იცვლის აზრებს გარემოების მიხედვით

ჰამელონი ერთგვარი ხელიკია აფრიკაში, იგი ხშირად იცვლის ფერს, იმის და მიხედვით, თუ როგორ ადგილმდებარეობაში მოხვდება. ხან შავია, ხან ჭრელი, ხან გაფითრებული.

5

ურჯუმო თოგა —

ურჯუმუნო კაცი

გადმოცემით, ქრისტეს ყავდა მოწაფე თოგა. ქრისტე ეუბნებოდა თავის მოწაფეებს — მე მომკლავენ და გავცოცხლდებიო. ქრისტეს სიკვდილის შემდეგ თომას უთხრეს ამხანაგებმა ქრისტე აღსდგაო. თომამ უპასუხა: სანამ ჩემი თვალთ არ ვნახავ, არ დავიჯერებო.

6

ალფა და ომეგა —

ყოველი საქმის თავი და ბოლო

ალფა ბერძნული ალფაბეტის პირველი ასოა, ომეგა უკანასკნელი. აქედან წარმოიშვა ეს გამოთქმა.

7

ეპრიკა —

ვიპოვე! მივაგენი!

გამოთქმა ეკუთვნის საბერძნეთის განთქმულ ფილოსოფოსსა და დიდებულ მეცნიერს არქიმედს. არქიმედმა ეს სიტყვა წამოიძახა მაშინ, როცა თავისი სახელობის კანონი აღმოაჩინა. კანონი ასეთია: „ყოველი სხეული წყალში იმდენს სიმძიმეს კარგავს, რამდენსაც სხეულის მოცულობით განდევნილი წყალი იწონის“.

8

მე ბრამატიკაზე მაღლა ვარ

უკიდურესად ყოყოჩისა და უვიც კაცზე იტყვიან

რომის იმპერატორმა ტიბერიუსმა შეცდომით უცხო სიტყვა იხმარა. იტიბარი არ გაიტეხა და სიტყვა, ამიერიდან ეს სიტყვა ლათინური იყოსო. მისმა მეგობარმა მარცელუსმა უთხრა: მეფეო, შენ შეგიძლია ადამიანებს უბრძანო, მაგრამ სიტყვა მხოლოდ გრამატიკას ემორჩილებაო.

— მე გრამატიკაზე მაღლა ვარ! — უპასუხა ბრიყვმა მეფემ.

„პიონერის“ მკითხველებს! მოგვწერეთ, რადარა სიტყვებისა და გამოთქმების განმარტება გსურთ.

რედაქცია.

მ ა გ ა თ ხ ე რ ი



ტექსტი—ილია ჭავჭავაძისა

მუსიკა—თამარ ზავერაზაშვილისა

ცაკვივარ

Canto

Piano

კიმ ვა-ნათ-ხუ-ლი

მო - დის მორ-თუ-ლი, მო-დის და მო-აქვს ცით სი-ბა - რუ -

ლი. ან-ვან- რა მთე-ბი, ცყე და მინდ-ვრე-ბი,

1.-2. Pour finir.

ს-თას თრადჷყუბვის ბა - ლი და ზვრე-ბი

1.-2. Pour finir.

Dal Segno

3იმ, გაზაფხული
მოდის მორთული,
მოდის და მოაქვს
ცით სიხარული.

ამწვანდა მთები,
ცყე და მინდვრები,
ათასფრად ჰყვავის
ბალი და ზვრები.

განახლებული,
გაცოცხლებული
შლხინობს და სტკებდა
ყველა სულდგმული.

იქვე კურკურით,
ჩუმის ჩურჩულით,
წყარო ჩამორბის
ლხენით, ჩუხჩუხით.

(2-ვერ).





პრ. აბაილიძე

ჭადრაკის უძლიერესი მოთამაშენი

ფილიდორი

ჭადრაკის პირველ უძლიერეს მოთამაშეებად „მსოფლიო ფალანგის“ ტიტულის შემოღებამდე ითვლებიან: ფილიდორი, დე ლაბურდონე, სტაუნტონი, ანდერსენი და მორფი.

პირველი მათგანი ფრანსუა ანდრე დანიკინი (ფილიდორედ წოდებული) 1726 წელს დაიბადა საფრანგეთში და გარდაიცვალა 1795 წელს ლონდონში (ინგლისი).

50 წლის საჭადრაკო მოღვაწეობის განმავლობაში მას არ ჰყოლია მოწინააღმდეგე, რომელსაც შეეძლებოდა მისთვის მცირეოდენი წინააღმდეგობა შეინც გაეწია. ფილიდორთან თითქმის ვერავინ ბედავდა თამაშს. და მის სახელს კიდევ უფრო აღიდებდა ის, რომ იგი სამ პარტიას თამაშობდა საჭადრაკო დაფებზე დაუხედავად. ეს არ არის გასაკვირი ამჟამად, როცა უკვე საკმაოდ განვითარებულია ეს შესანიშნავი თამაში, როცა ჭადრაკის ათასეულ ოსტატებს ითვლის მსოფლიო, მაგრამ იმ დროისათვის ეს უდიდესი მიღწევა იყო.

დე ლაბურდონე

მსოფლიოს მეორე უძლიერესი მოჭადრაკე — ლუი შარლ მე დე ლაბურდონეც ფრანგი იყო (დაიბადა 1795 წ.). მან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ინგლისელ მოჭადრაკე ალექსანდრე მაკდონელთან.

ლაბურდონეს თამაშის სტილი — ესაა ფიგურებით მეტად ცხოველი თამაში. მას არ უყვარდა პაიკებით დახურული პოზიციები. უსათუოდ დიდი გავლენა

მოახდინა ლაბურდონეს თამაშმა შემდგომ ანდერსენზე, მორფზე და მსოფლიოს სხვა გამოჩენილ ოსტატებზე. ლაბურდონე გარდაიცვალა ლონდონში 1840 წ.

სტაუნტონი

ლაბურდონე ინგლისელმა ჰოვარდ სტაუნტონმა შეცვალა. მან 1843 წელს მატჩი მოუგო ფრანგ ამანს და ამით წაართვა ფრანგ მოჭადრაკეებს მსოფლიო პირველობა.

სტაუნტონმა 1840 წელს დააარსა პირველი საჭადრაკო ჟურნალი და გამოსცა წიგნი ჭადრაკის შესახებ.

ლონდონის პირველ საჭადრაკო ტურნირზე მან დაპრეტებდა იგემო. ამის შემდეგ იგი მთლიანად ტოვებდა საჭადრაკო ასპარეზს.

ანდერსენი

ლონდონის პირველ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ჩატარდა 1851 წელს, გამარჯვებული გამოვიდა გერმანელი მასწავლებელი ადოლფ ანდერსენი (დაიბადა 1818 წ.). 1851 წლიდან 1858 წლამდე ანდერსენი მსოფლიოს ყველაზე უძლიერეს მოთამაშედ ითვლებოდა. ანდერსენს უყვარდა ღია თამაში, და უნდა ითქვას, მეტად მომხიბლავი კომბინაციებით. მის მიერ მოგებულ ერთ პარტიას „უკვდავი პარტია“ ეწოდება, ეს პარტია აღსანიშნავია თავისი მაქსიმალური შეწირვებით.

ანდერსენი გარდაიცვალა 1879 წ. ქ. ბრესლავეში. (გაგრძელება იქნება)

მორიანი თამაშობა



ვინ უფრო ძლიერია?

თამაშობს 4 პიონერი 10-15 წლამდე

ძვეს თოკი, რომელსაც აქვს ოთხი ბოლო მარყუჟებით. თითოეულ მარყუჟთან დგება თითო მოთამაშე. ხოლო ამ მოთამაშეებიდან 2 მეჭრის მანძილზე დგას ხის ბოთლები (ან სხვა რაიმე საგანი). ნიშნის მიცემის შემდეგ თოკს ყველა მოთამაშე თავი მხარეს ეწევა და ცდილობს მისწვდეს ბოთლს.

გამარჯვებული რჩება მხოლოდ ის, ვინც პირველი მისწვდება ბოთლს.

